სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/24

ქ. თბილისი 26 აპრილი 2023

სტუ-ის სოციალური კვლევის ცენტრის სახელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის №01-05-04/39 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 26 აპრილის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური კვლევის ცენტრს“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტული მომსახურების და სამეცნიერო პერიოდიკის მართვის ცენტრი“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**